

ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულტან ნაზარბაევი 16 აგვისტოს თურქულენოვანი სახელმწიფოების ლიდერების გაბალაში ჩატარებულ სამიტში დასასწრებად აზერბაიჯანში ჩამოვა.
ეს ყაზახეთის პრეზიდენტთან ცენტრალური კომუნიკაციების სამსახურის თანამშრომელმა ბოლათ სადიკოვმა განაცხადა. მან განაცხადა, რომ პირველი სამიტი 2011 წელს ყაზახეთის პრეზიდენტის ინიციატივით ქალაქ ალმატაში ჩატარდა და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს იყო მიძღვნილი.
თურქეთის და ყირგიზეთის პრეზიდენტები აბდულა გიული და ალმაზბექ ათამბაევიც დაესწრებიან სამიტს. გიულის აზერბაიჯანში ვიზიტი 14 აგვისტოს, ათამბაევის კი 15 აგვისტოს იგეგმება.
აღსანიშნავია, რომ თურქულენოვანი სახელმწიფოების ლიდერების საბჭო 2009 წელს შეიქმნა. საბჭოში 4 ქვეყანაა შესული: აზერბაიჯანი, თურქეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი.